# ვარკეთილის ნალკოტი სპორტულმა კომპლექსმა დაამშვენა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 225 (4219)

1970 წ. 17 ნოემბერი. სამშაბათი. ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

შაბათს გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა სპორტული ბაზების საზეიმო გახსნა, რომელშიც ადგილობრივი მშრომელები და დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები მონაწილეობდნენ.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ზეიმის მონაწილენი ათვალიერებენ ბაზებს; მარჯვნივ — ახალი აუზი ასპარეზობის მოლოდინში. მარცხნივ ჩანს სპორტული დარბაზი.

მ. ზარგარიანის ფოტო.







## იყო დიდი ზეიმი...

ამდენი სტუმარი ალბათ დიდი ხანია არ ჰყოლია ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობას. გასულ შაბათს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სპორტული კომპლექსი და სწორედ ეს იყო ასეთი ხალხმრავლობის მიზეზი. ამინდიც მართლაც რომ საზეიმო იყო. თითქოს განგებ, საწვიმრად გამზადებული ცა ერთბაშად მოიწმინდა და მზის სხივებმა იქაურობას სადღესასწაულო ელფერი შემატა.

მიტინგი გახსნა მეურნეობის პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ ი. ჯოხაძემ. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. კავილაძემ. იგი დაწვრილებით ელაპარაკა სპორტული კომპლექსის შექმნის ისტორიაზე, იმ დიდ წვლილზე, რომელიც ამ მშენებლობის დროულად დამთავრებაში შეიტანა ადგილობრივმა ახალგაზრდობამ. ი. კავილაძემ რწმენა გამოთქვა, რომ მეურნეობის ახალი სპორტული ბაზები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ფიზიკურად გაკაჟებას, მათი სასახელო შრომითი საქმეების გამრავლებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ მეურნეობის კოლექტივს გადასცა საპატიო სიგელი და ადრესი.

ვარკეთილელ ახალგაზრდებს ახალი სპორტული კომპლექსის გახსნა მიულოცეს საქართველოს კომკავშირის გარდაბნის რაიკომის მდივანმა თ. ბზეკალავამ, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ხ. კალანდაძემ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა ვ. სამსონაძემ, დაბა გარდაბნის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ს. ელიაროვამ, ვარკეთილის საშუალო სკოლის მოსწავლემ მანანა თვაურმა.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ზ. ჯანდიერი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვარკეთილი.

## ზრუნვას საქმით ვუპასუხებთ

მეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაცია „კოლმეურნის" კოლექტივებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ვარკეთილსა და პატარა ლილოში მცხოვრები ჩვენი მუშა-მოსამსახურეების 98 პროცენტი „სპორტული" ასაკისაა. ახალგაზრდებს, რასაკვირველია, უყვართ ფიზიკური კულტურა, მაგრამ დღემდე ყველა მათგანის მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებდით. მართალია, ვაწყობდით შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს განყოფილებებისა თუ ბრიგადების ფიზკულტურელთა მონაწილეობით, მაგრამ ამასაც მუდამ ვერ ვახერხებდით. როცა ღია ცის ქვეშ ვარჯიში და შეჯიბრებების გამართვა შეიძლება, ალიონიდან გვიან საღამომდე მუხლჩაუხრელად ვშრომობთ — ბაღს, ალუბალს, ჭერამს, ატამს, ვაშლს, მსხალს, ქლიავს, ყურძენს თუ დროით არ მიხედავ, მტერს არ მოაშორებ, დროულად არ მორწყავ, მთელი წლის გარჯა წყალში ჩაგეყრება. ასეთ პერიოდში სპორტისთვის ბევრი დრო არ გვრჩება, ზამთრის ბაზები კი არ გვქონდა.

ამიერიდან ეს დაბრკოლება ხელს ველარ შეგვიშლის. შესანიშნავ სპორტულ დარბაზში ფრენბურთსა და კალათბურთში რესპუბლიკური ტურნირების გამართვაც შეიძლება, ჩოგბურთში, ტანვარჯიშში, ჭიდაობაში წვრთნაც და შეჯიბრების ჩატარებაც. დარბაზს აქვს კეთილმოწყობილი დამხმარე ნაგებობანი — გასახდელები, საშხაპეები, მწვრთნელთა ოთახები.

სპორტული კომპლექსის მშენებლობაში კომკავშირელებმაც შევიტანეთ წვლილი.

მეურნეობის დირექციის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ზრუნვას იმ მიზნით, რომ შრომისა და აქტიური დასვენებისთვის ყველა პირობა შეგვიქმნან, ჩვენც საქმით ვუპასუხებთ. ახალგაზრდები კიდევ უფრო მონდომებით, ნაყოფიერად ვიშრომებთ ბაღ-ვენახებში, ამას გარდა, ვიბრძოლებთ ფიზკულტურის კოლექტივის განმტკიცებისა და წინსვლისთვის.

კომკავშირელებმა გადავწყვიტეთ სპორტულ ბაზებს შეფობა გავუწიოთ — ვიზრუნოთ, რათა საცურაო აუზის, სტადიონის, სპორტდარბაზის კარი ვარჯიშის მსურველებისთვის მუდამ ღია იყოს.

ვ. აფციაური,
მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

## მასპინძლების თანაბრად

მიშკოლცი, 15 ნოემბერი. უნგრეთის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის იუნიორ მოკრივეთა პირველი ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს 5 მედალი, იმდენივე, რამდენიც რინგის მასპინძლებმა, და ვერცხლის 1 ჯილდო.

ტურნირში მონაწილეობდა 21 ქვეყნის 144 სპორტსმენი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უნგრეთის ნაკრებმა, რომელსაც კიდევ 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი აქვს. II ადგილზე გავიდნენ საბჭოთა მოკრივეები, III — გდრ-ის წარმომადგენლები, რომელთაც ოქროსა და ვერცხლის თითო, ხოლო ბრინჯაოს 6 მედალი ხვდათ.

ტურნირის დასკვნით დღეს 6 საბჭოთა მოკრივე ასპარეზობდა. სევასტოპოლელმა ა. ლევიშჩევმა (მჩატე წონა) მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით მოუგო ბულგარელ ქ. კუნჩევს, ყაზანელმა ა. ანდრიანოვმა (ქვემსუბუქი) სძლია რუმინელ გ. ჩოკინს (ქულებით), მოსკოველმა ვ. დავიდოვმა (მეორე ქვესაშუალო) — უნგრელ შ. ჩიეფას (ქულებით), მოსკოველმა ვ. ლემეშევმა (პირველი საშუალო) — ბულგარელ მ. მეთოდიევს (ქულებით) და სამარყანდელმა ნ. ანფიმოვმა (მეორე საშუალო) — იუგოსლაველ დ. ტოდოროვიჩს (პირველ რაუნდში აშკარა უპირატესობით).

II ადგილი მოიხვეჭა ერევნელმა დ. ტოროსიანმა (მეორე უმჩატესი წონა), რომელსაც მინიმალური უპირატესობით სძლია უნგრელმა ზ. კიშნემეტმა.

ოქროს დანარჩენი მედლები უნგრელის თანამემამულეებმა მოიპოვეს — პ. გლიუკმა (პირველი უმჩატესი), ლ. იუხაშმა (მსუბუქი), ქ. ნემეცმა (პირველი ქვესაშუალო) და მძიმეწონოსანმა ი. რედერმა.

ოქროს მე-11 მედლის მფლობელია ქვემძიმეწონოსანი ო. ზაჰსე (გდრ).

მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციის პირველი პრეზიდენტის ე. გრემოს სახელობის თასი დაისაკუთრა ლემეშევმა. ეს თასი, ისევე როგორც ოლიმპიადაში უძლიერეს მოკრივეთათვის დაწესებული ბარკერის თასი, ამიერიდან ახალგაზრდული პირველობის საუკეთესო მოკრივეს გადაეცემა. ლემეშევმა მეორე სპეციალური პრიზიც დაიმსახურა საუკეთესო ტექნიკისთვის.

19$^{45}$

◆ პარიზი, 16 ნოემბერი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელთა გუნდმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში წაგების სიმწარე იწვნია: ანგარიშით 3:4 (1:2) დამარცხდა ადგილობრივ „რედ სტართან". მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ლიტოვჩენკომ (2) და ნაზაროვმა.

◆ ბრიუსელი, 16 ნოემბერი. აქ გაიმართა ბელგიისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს ფრანგებმა — 2:1 (0:0).

◆ ბაზელი, 16 ნოემბერი. შვეიცარიის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ უნგრეთის ნაკრები ძალიან განახლებული შემადგენლობით გამოვიდა. ეს ამხანაგური მატჩი მწვავე და საინტერესო გამოდგა. ერთადერთი ბურთი, რომელმაც უნგრელებს მოუტანა გამარჯვება, 88-ე წუთზე გაიტანა ფაზეკაშმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქმრავლოს!

თხუთმეტიოდე წლის წინ ამ ადგილებში გამოფიტული, ხრიოკი ველი იყო. სამგორის უზარმაზარ, საუკუნეების მანძილზე უნაყოფო მინდვრებს ვერკეთილი შეარქვეს.

მაგრამ საბჭოთა ადამიანების მზრუნველი ხელი ამ მხარესაც მისწვდა: რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით დაიწყო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. მლაშე ტბების მიდამოებს ივრის წყალი პირველად 1951 წელს ეწვია. მალე ეს კუთხე თბილისის ზღვამ დაამშვენა. ვერკეთილიც არხებით დაიფარა წყალმა ნიადაგი გამოაცოცხლა, თბილისის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის შექმნა გადაწყდა და 1957 წელს სიტყვა საქმედ იქცა. ერთ დროს უნაყოფო ველი ხალხის სამსახურში ჩადგა. ვერკეთილს ვარკეთილი უწოდეს.

მას შემდეგ ვარკეთილელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. 1967 წელს ამ მეურნეობის მშრომელებმა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნისა და მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობების თაოსნობას აუბეს მხარი: გადაწყვიტეს საკუთარი დანაზოგითა და შრომითი მონაწილეობით აეშენებინათ სპორტული ბაზები. ადამიანის მარჯვენმა სიტყვა ამჯერადაც საქმედ აქცია: გასულ შაბათს ვარკეთილში საზეიმოდ გაიხსნა ახალი სპორტული კომპლექსი.

მეურნეობას ჩვენ წინადღითაც ვეწვიეთ. ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ორგზის ლენინის ორდენოსანი დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. კაპილაძე კაბინეტში არ დაგვხვდა. კონტორაში გვითხრეს, ამ დროს დირექტორს აქ ვერ ნახავთ, რომელიმე განყოფილებაში, ბრიგადაში ან სატრაქტორო მეურნეობაში იქნება; შესაძლოა, კულტურის სახლში შეიარა, ან სკოლას ეწვია. თუმცა დღეს ალბათ სპორტულ ბაზებზე იქნება, ხვალ კომპლექსის საზეიმო გახსნაა და სტუმრებს ველით.

დირექტორს ქუჩაში შევხვდით. კაბინეტისკენ მიიჩქაროდა. სტუმრობის მიზეზი ვუთხარით.

— ორ წუთს მაცალეთო, — მოიბოდიშა. მეურნეობის ერთ-ერთ მუშაკს რაღაც დაავალა და კაბინეტში შეგვიძღვა.

— პატივცემულო თაკომ, თუ შეიძლება, გვიამბეთ ზოგი რამ მეურნეობის ისტორიიდან.

— რა გითხრათ... ცამეტი წელი დიდი დრო როდია, მით უმეტეს, რომ მეურნეობა და სოფელი თანატოლი არიან. ამ ხრიოკ ადგილებში საცხოვრებლად გადმოსახლდნენ ახალგაზრდები ლისის ხაბჭოს სოფლებიდან — ზევრეთიდან, ლელობიდან, ტაბარუკიდან, ნახშირგორიდან, თეთრი წყაროს რაიონიდან, რაჭიდან... ახლა ვარკეთილში 3500 სული ცხოვრობს, პატარა ლილოში 120 კომლია — ესაა ჩვენი მეურნეობის მთელი ძალა.

მშრომელთა დაუღალავმა მარჯვენამ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დახმარებით ცამეტ წელიწადში შეუძლებელი შეძლო. 1960 წელს გავხსენით ვარკეთილში კულტურის პირველი კერა — დაწყებითი სკოლა. ხუთი წლის შემდეგ იგი გადაკეთდა რვაწლიან, 1967 წელს კი საშუალო სკოლად, რომლის ორსართულიან შენობაში ახლა 450 მოსწავლე სწავლობს.

მეურნეობის მშრომელთა განკარგულებაშია შესანიშნავი ბაგა-ბაღი 120 ბავშვისთვის, 400-ადგილიანი კულტურის სახლი, რომლის ბიბლიოთეკაშიც 20 ათასზე მეტი წიგნია. მუსიკალური სკოლის ფილიალში 60 ბავშვი სწავლობს. გვაქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ამბულატორია, სატელეფონო სადგური, ფოსტა, აბანო... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭიროა სოციალისტური სოფლისთვის.

— როგორ შეძელით ხალხის დაინტერესება?

— გაბედულ ახალგაზრდებს ჩვენც გულღიად შევხვდით: მეურნეობის ჩამოყალიბების პირველ წლებში ავაგეთ ერთსართულიანი ოთხოთახიანი კოტეჯები, რომლებშიც 2-2 ოჯახი შესახლდა. ყოველ ოჯახს საკუთარი მეურნეობისთვის 350 კვ მ ფართის მიწის ნაკვეთი გამოვუყავით. მეურნეობის „ძველ" ნაწილში 60-ან წლებში ორმოცდაათამდე ასეთი კოტეჯი ავაგეთ.

შემდეგში ერთსართულიანი სახლები ორსართულიანმა შენობებმა შეცვალა, მეურნეობაში თორმეტბინიანი კეთილმოწყობილი სახლების მშენებლობა დავიწყეთ.

ყოველივე ზემოთქმულს გარდა, მეურნეობაში მომუშავე სპორტის მოყვარულებისთვის მოვაწყვეთ კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი.

მშრომელთა დაინტერესება ერთმა გარემოებამაც განაპირობა: თუ, მაგალითად, 1962 წელს მეურნეობის წლიური შემოსავალი 40 ათასი მანეთი იყო, წლეულს რეალიზაციის გეგმა მილიონ 42 ათას მანეთს ითვალისწინებდა და ეს გეგმა უკვე გადავაჭარბეთ. შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ 860 ტონა ხილი და 700 ტონა ყურძენი, წლეულს — 1043 ტონა ხილი და 1200 ტონა ყურძენი. 1976 წლისთვის მეურნეობის ფულადი შემოსავალი 5,5 მილიონი მანეთი იქნება.

— მეურნეობის შემოსავლის ზრდას ალბათ ვენახისა და ხეხილის ბაღების დიდი ფართობები უწყობს ხელს.

— არა. მეურნეობას მთლიანად 4000 ჰექტარი უკავია, აქედან ჯერჯერობით მხოლოდ 2770 ჰექტარია ათვისებული (700 ჰექტარი ვენახს უჭირავს, 650 — კურკოვან ხეხილს). მთავარია მეურნეობის მუშაკთა გულმოდგინე შრომა. ისინი კარგად უვლიან ნარგავებს და გარჯაც უფასდებათ. ჩვენი მთავარი ამოცანაა მაღალხარისხოვანი ყურძნითა და ახალი ხილით უზრუნველვყოთ თბილისი და რუსთავი. ამ ამოცანას წარმატებით ვასრულებთ.

— რა დამხმარე დარგებია განვითარებული მეურნეობაში?

— მეცხოველეობა და მეფუტკრეობა.

— ახლა ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის უფრო საინტერესო საკითხებზე ვისაუბროთ. რა როლს ასრულებს ფიზკულტურა და სპორტი მეურნეობის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში?

— ვარკეთილის პირველმა მოჭირნახულეებმა იზრუნეს, რომ მეურნეობა რენტაბელური გამხდარიყო, მოგების ხარჯზე საკუთარი სახსრები შეგვექმნა. როცა ეს ამოცანა გადავწყვიტეთ, მიღებული თანხა ისევ მშრომელთა კეთილდღეობას მოვახმარეთ. რაც დრო გადის, მშრომელთა მოთხოვნები უფრო იზრდება. დღის წესრიგში დადგა აქტიური დასვენების კერების ქსელის გაფართოების აუცილებლობა. 1967 წელს მეურნეობის საერთო კრებაზე მხარი დავუჭირეთ ახალგაზრდობის თაოსნობას სტადიონის, დარბაზისა და საცურაო აუზის მშენებლობის შესახებ.



ამ კრებაზე ახალგაზრდებმა იუალდებულეს, რომ სპორტულ ბაზებს თავიანთი შრომითი მონაწილეობით ააგებდნენ, ჩვენ კი ნაჭარბი თანხებით მშენებლობისთვის აუცილებელ მასალას და ინვენტარს შევიძენდით. სწორედ იმ წელიწადს ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნისა და მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობებმა. ამრიგად, სამ დიდ კოლექტივს შორის ერთგვარი სოციალისტური შეჯიბრება გაიმართა.

— რთული ამოცანის გადაწყვეტა იკისრეთ. ვინ გეხმარებოდათ?

— მართლაც ძნელი, მაგრამ საპატიო საქმე იყო. ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა გაჯანსაღებისთვის ზრუნვას შემთხვევით როდი ექცევა ესოდენ დიდი ყურადღება. ჯანსაღი ადამიანი შრომაშიც მარჯვეა. მეურნეობაში კარგად შვესმოდა შრომისნაყოფიერების ზრდაში ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა. საქმეს შევუდექით. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო სამმართველოს სპეციალიზებულმა ტრესტმა, საპროექტო ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. მშენებლობა 1968 წლის გაზაფხულიდან დავიწყეთ.

— რას ითვალისწინებდა თქვენი ვალდებულებები, რა ბაზები ააგეთ?

— ვალდებულება ითვალისწინებდა მეურნეობაში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომ ამაღლებას, ამ მიზნის მისაღწევად პირველხარისხოვანი სპორტული ბაზების აგებას. სტადიონი მძლეოსნური სექტორებითა და ბილიკებით, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი — აი, რა უნდა შესულიყო სპორტულ კომპლექსში. სიტყვა შევასრულეთ. ჩვენი სტადიონის ტრიბუნები 5000 მაყურებელს იტევს, სპორტდარბაზში ტანმოვარჯიშეთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირების გამართვა შეიძლება. 25-მეტრიანი საცურაო აუზიც კარგი საჩუქარი უნდა იყოს. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ გვაქვს სხვა ღია ბაზებიც — ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი, ჩვენს მეურნეობაში კარგი პირობები უნდა იყოს შექმნილი მასობრივ-სპორტული მუშაობის სათანადოდ გაშლისთვის.

ახალი ბაზების ტერიტორიის გასამწვანებლად 400 ძირი დეკორაციული მცენარე დაირგო. ამ საქმეში ახალგაზრდებს დიდი წვლილი მიუძღვით. პარტორგანიზაციის მდივნის, მეურნეობის აგრონომ თინათინ აბზიანიძისა და მუშათა პროფკომის თავმჯდომარის, მეურნეობის დეკორატორ ი. ჯობაძის თაოსნობით მშენებლობაში ყველა მშრომელი ჩაება, ვალში არც კომკავშირელები დარჩენილან. ისინი ხშირად თვითონ იყვნენ ინიციატორები.

— აქტივისტებიდან ვისი გამოყოფა შეიძლებოდა?

— მეურნეობაში თერთმეტი განყოფილება და უფრო მეტი ბრიგადაა, ცალკეა მშენებელთა ბრიგადა, რომელსაც სამუშაოთა მწარმოებელი ს. კირილთეი ხელმძღვანელობს. მეურნეობის მშენებელი ინჟინრის მ. ჩხატარაშვილის მითითებით მშენებელთა ბრიგადა იყო ყველა საქმის მოთავე. მაგრამ ამ ბრიგადას დიდ დახმარებას უწევდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ყოველ თავისუფალ წუთს მშენებლობაზე ატარებდნენ. ნაყოფიერად იშრომეს ა. თამარაშვილმა, დ. ბერიძემ, რ. ბზიშვილმა, გ. ნიაურმა, ვ. ლომიძემ, მებულდოზერე გ. ყარყარაშვილმა, მექსკავატორე ი. პავლოვმა, მძღოლებმა ვ. და ი. ბექაურებმა, შ. აძიშვილმა, მ. და გ. წიკლაურებმა, შემდუღებელმა გ. ფილიევმა, საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ნ. ხელაშვილმა... ყველას დასახელება შორს წაგვიყვანდა. დავუმატებ მხოლოდ, რომ ზემოჩამოთვლილთა უმეტესობა მეურნეობის საუკეთესო ფიზკულტურელიცაა.

შესანიშნავი ბაზები გვაქვს, მაგრამ გვინდა უკეთესი ფიზკულტურელებიც გვყავდეს. ორიოდე წელიწადში ამასაც მივაღწევთ, თუ დედაქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელები დაგვეხმარებიან: გვჭირდება ფიზკულტურის სპეციალისტები, რომლებიც მეურნეობის სპორტულ სექციებს გაუძღვებიან.

ყველაფერი მეურნეობის მშრომელებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სპორტის პოპულარიზაციის მიზნით გაკეთდა. შრომაში საუკეთესო მეურნეობამ არც სპორტში უნდა შეირცხვინოს თავი. განზრახული გვაქვს სპორტკლუბის სახელისთვის ვიბრძოლოთ. ეს წოდება კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ მოწინავე კოლექტივს ენიჭება.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვარკეთილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ახალ დარბაზში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელთა საჩვენებელი შეხვედრის მომენტი; ქვევით — მაგიდის ჩოგბურთს თამაშობენ ვარკეთილელი ფიზკულტურელები მ. ლეშკაშელი (მარცხნივ) და გ. ჭულელი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



## ჩვენი მადლობა

შესანიშნავი სპორტული ბაზების აგებაში დახმარებისთვის ულრმეს მადლობას ვუძღვნით მეურნეობის დირექციასა და საქკვებმრეწპროექტის საბჭოთა მეურნეობების დამპროექტებელ განყოფილებას (უფროსი ს. სობოლი, პროექტის მთავარი არქიტექტორი თ. კარბელაშვილი), რომელმაც ძალა, ცოდნა და ენერგია არ დაიშურა, რათა ვარკეთილელი მშრომელებისთვის სრულყოფილი პროექტი შეექმნა.

ახალი სპორტული ბაზები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავის ზეიმის წინ დიდებული საჩუქარია. ამ საჩუქარს ჩვენ, მეურნეობის ფიზკულტურელები, გაორკეცებული გარჯით ვუპასუხებთ: უფრო ენერგიულად ვიშრომებთ ვენახებში, ხილის ბაღებში, დაუღალავად ვივარჯიშებთ, რათა ჩვენი მეურნეობა სპორტულ სარბიელზეც ვასახელოთ.

ვარკეთილის მეურნეობაში სპორტის რამდენიმე სახეობაა დანერგილი, მათ შორის საკმაოდ პოპულარულია ფრენბურთი. ზაფხულობით შიდასაკოლექტივო ტურნირებს ღია მოედანზე ვაწყობდით, მაგრამ, რადგან დარბაზი არ გვქონდა, ზამთრობით ვეღარ ვვარჯიშობდით. ამ ნაკლის ანაზღაურებას საერთო ფიზმომზადებაში ვარჯიშით ვცდილობდით, მაგრამ ეს საქმეს ნაკლებ შველოდა.

ამიერიდან მდგომარეობა შეიცვლება — ახალ დარბაზში წვრთნის შესანიშნავი პირობები გვექნება. დანარჩენი ჩვენზე იყოს. ჩვენი პირველი ამოცანაა გარდაბნის რაიონში უძლიერესის სახელისთვის ვიბრძოლოთ და საამისო ძალაც შეგვწევს.

**ქეთევან წიკლაური,**
ფრენბურთელი, მეურნეობის კადრების ინსპექტორი.

# მეტი გარჯა გვმართებს

ჩვენი ფიზკულტურული საქმიანობის დასაყრდენს საზოგადოებრივი კადრები წარმოადგენს. თითქმის ყველა სახეობის სექციებს სათავეში უდგანან მოწინავე სპორტსმენები, რომლებიც თავისუფალ დროს თანაგუნდელებთან ატარებენ, გამოცდილებას უზიარებენ. მოჭიდავეებს ავტომძღოლი ვ. ბექაური ავარჯიშებს, ფრენბურთელებს — საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. ხელაშვილი. მაგიდის ჩოგბურთის სექციას კლუბის გამგე ჭ. ტატიშვილი ხელმძღვანელობს. ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში I ჯგუფში გამოდის, „სინათლის" ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი ი. გალოიანი წვრთნის...

ხშირად ვაწყობთ შიდასაკოლექტივო ტურნირებს. ჯერჯერობით საუკეთესონი არიან სატრაქტორო მეურნეობის (მთავარი მექანიკოსი ვ. კაპანაძე) გუნდები. ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა მეურნეობის ჩემპიონობა დაისაკუთრეს, მოჭიდავეთა შეჯიბრებაში იმარჯვეს მე-4 უბნის (უფროსი ა. კურტანიძე) წარმომადგენლებმა.

მეურნეობის მოწინავე სპორტსმენების, ძალოსნების მწვრთნელის, სპორტის ოსტატის, აგრონომ ზ. პაპიძის, მოჭიდავეების გ. წიკლაურის, რ. ელოიანის, კალათბურთელ ნელი ბექაურისა და სხვების დახმარებით გარდაბნის რაიონშიც წარმატებები გვაქვს მოპოვებული. მაგალითად, ფრენბურთსა და ფეხბურთში II ადგილები დავისაკუთრეთ, მძლეოსნობაში — III...

თავი არც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებათა განაღდებაში შეგვირცხვენია, მაგრამ თუ აქამდე ბაზების სიმცირე გვაფერხებდა, ამიერიდან ფიზკულტურის კოლექტივსაც მეტი გარჯა მართებს. სპორტინვენტარითაც უზრუნველყოფილი ვართ. მართალია, ტანვარჯიშული ლეიბები არ გვაქვს, მაგრამ ამ ნაკლსაც გამოვასწორებთ და ვარკეთილში ტანვარჯიშის სექციასაც გავხსნით.

უნდა აღინიშნოს ნაკლიც. ახალ ბაზებზე ჯერჯერობით გათბობა არ გვაქვს, სტადიონზე მოსაწყობია მძლეოსნური სექტორები და სარბენი ბილიკები, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანიზაციების, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს დახმარებით მალე ეს ხარვეზებიც აღმოიფხვრება.

**გ. შარაშიძე,**
მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი.

ფეხბურთი



# 4:1, 5:2, 1:1

15 ნოემბერს რესპუბლიკის სამ ქალაქში დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირი.

თბილისში თამაშობდნენ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისგან დაკომპლექტებული I ნაკრები და თბილისის „დინამოს" დუბლიორები. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს დუბლიორებმა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრა რუსთავში „ბ" კლასის II ნაკრებსა და „იმედის" ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის. „ბ" კლასის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 5:2.

დაბოლოს, მატჩი გორში — „ბ" კლასის I ნაკრებსა და საქართველოს პირველობის II ნაკრებს შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 1:1.

# შესარჩევი მატჩები

**ნიქოზია,** 15 ნოემბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეუდგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს. დღეს აქ მას პირველი მატჩი ჰქონდა კვიპროსის ნაკრებთან.

საბჭოთა გუნდმა წარმატებით მოიგერია მასპინძელთა პირველი იერიშები, მერე ხელთ აიღო ინიციატივა და უკვე მე-10 წუთზე კოლოტოვმა ანგარიში გახსნა. მე-16 წუთზე ევრიუჟიხინმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი — 2:0.

ტაიმის დასასრულს კვიპროსელებმა რამდენიმე სახიფათო კონტრიერიში განახორციელეს და 42-ე წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთი ნახევარმცველის მიერ დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმული ბურთის აღება ბანიკოვმა ვერ შეძლო.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. 50-ე წუთზე ფედოტოვის ძლიერი ბურთი კვიპროსელთა მეკარე ალკივიადისმა მოიგერია, მას მიუსწრო შევჩენკომ და ანგარიში გახდა 3:1.

ასე გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. იგი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ბანიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, მუნტიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი, ევრიუჟიხინი, კოპეიკინი (გ. ნოდია), შევჩენკო.

**სოფია,** 15 ნოემბერი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ II ჯგუფის წარმომადგენლები—ბულგარეთისა და ნორვეგიის გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

**ლუქსემბურგი,** 15 ნოემბერი. მასპინძელთა ნაკრები VII ჯგუფში თამაშობს. დღეს იგი დიდი ანგარიშით დამარცხდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან: სტუმრებმა ლუქსემბურგელთა კარში 5 „მშრალი" ბურთი გაიტანეს.

* * *

სულ ჩატარებულია 20 შესარჩევი მატჩი. რვიდან შვიდ ჯგუფში უკვე გამოვლინდნენ პირველი ლიდერები. ესენი არიან: რუმინეთის (I ჯგუფი), უნგრეთისა და საფრანგეთის (II), სსრ კავშირისა და ესპანეთის (IV), შოტლანდიისა და პორტუგალიის (V), შვეციის (VI), გდრ-ის (VII) და პოლონეთის (VIII) ნაკრები გუნდები.

წლის ბოლომდე კიდევ ხუთი შესარჩევი მატჩი გაიმართება, დანარჩენი შეხვედრები კი გაისად მოეწყობა. 32 მონაწილე გუნდიდან ბრძოლაში მხოლოდ 3 არ ჩაბმულა — ინგლისის, ბელგიისა და შვეიცარიის ნაკრები კოლექტივები.

## ახალი ამბები

● **ალმა-ათა,** 15 ნოემბერი. ყაზახეთის დედაქალაქში მეორედ ჩატარდა მესტენდურეთა უკვე ტრადიციად ქცეული საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „ვეჩერნიაია ალმა-ათის" პრიზზე, რომელსაც „ოქროს ხოხობი" ჰქვია. ყველა პრიზიორმა ამ ფრინველის ლამაზად გაფორმებული ფიტული მიიღო. მრგვალ სტენდზე სროლაში საუკეთესო იყო ალმაათელი ვ. სეროვი, რომელმაც ავდარში (თოვა და ქარი) 187 ქულა მოაგროვა 200-დან. ადგილიდან სროლაშიც მასპინძელმა აჯობა ყველას. ეს გახლდათ ვ. სკორობოგატოვი — 180 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, თბილისის, ფრუნზეს, ერევნის, ტალინის, ალმა-ათისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

● **მინსკი,** 15 ნოემბერი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. მედვედის სახელობის 4 პრიზი გაითამაშეს დღეს აქ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ათლეტებმა — თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებმა. პირველ საშუალო წონაში გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა ჰ. შტოტმაისტერმა (გდრ), მეორე საშუალოში—პ. სიიარმა, ქვემძიმეში — ს. ლისაფინმა, მძიმეში — ლ. კიტოვმა (ყველა — სსრ კავშირი). გამარჯვებულთ პრიზები გადასცა ბელორუსიის დედაქალაქის მკვიდრმა ა. მედვედმა, სხვათა შორის, მისმა ძმამ პეტრემ II ადგილი დაიკავა მეორე საშუალო წონაში. ეს შეჯიბრება ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

● **კარლ-მარქს-შტადტი,** 15 ნოემბერი. „ცისფერი ბურთების" ფაიფურის თასს მესამედ დაეუფლა ფიგურული ციგურაობის ნორჩი ოსტატი, 15 წლის ს. მორგენშტერნი (გდრ), რომელმაც, სპეციალისტების აზრით, ზოგიერთ ვარჯიშში თითქმის მიაღწია თავისი სახელგანთქმული თანამემამულის, მსოფლიო ჩემპიონის გ. ზაიფერტის ოსტატობის დონეს. გაბი პირველად გამოვიდა საერთაშორისო ტურნირში მწვრთნელის როლში და ამ შეჯიბრებისთვის მოასწრო 10 წლის ა. პეჩის კარგად მომზადება. ეს გოგონა „დიდებს" არ შეუშინდა და წარმატებითაც იასპარეზა. II და III ადგილებზე გავიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები კ. ეროტი და ს. გროფე. IV ადგილზეა ლენინგრადელი ნ. ოვჩინიკოვა.

# ნანას ვრნიაჩკა-ბანიაში ელიან

იუგოსლავიის მაღალმთიანი აგარაკი ვრნიაჩკა-ბანია დიდი ხანია იქცა მოჭადრაკეთა დიდ ასპარეზობათა სარბიელად. შარშან აქ სამუდამოდ დაიდო ბინა ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებამ. პირველი თასი, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა. წლევანდელ ტურნირში ჭადრაკის დედოფალი მონაწილეობას ვერ მიიღებს: მისი პირმშო — პატარა დათო ჭიჭინაძე ამის უფლებას არ აძლევს...

ვრნიაჩკა-ბანიაში ელიან სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატს ნანა ალექსანდრიას.

საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. კონსტანტინოპოლსკიმ გვაცნობა:

— ტრადიციული ტურნირი ვრნიაჩკა-ბანიაში 1 დეკემბერს აიღებს სტარტს და 21-მდე გასტანს, მაგრამ ნანა უკვე 30 ნოემბერს ადგილზე უნდა იყოს. თასის გათამაშებაში მოსალოდნელია 12 ქალის მონაწილეობა, მაგრამ შესაძლოა სათამაშოდ 18 მოჭადრაკემ მოიყაროს თავი. თუ მეტი მონაწილე შეგროვდა, მაშინ ნახევარფინალები ჩატარდება.

მასპინძლებმა შეგვატყობინეს მონაწილეთა სავარაუდო სია. ტურნირში თამაშის დასტური მიუციათ ბულგარელ გეორგიევას, პოლონელ პიტელს, ჩეხოსლოვაკიელ ვოკრუალოვას, ინგლისელ დობსონს, ჰოლანდიელ ვრეკენს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეს ჰელცლაინს. იქნებიან, აგრეთვე, რუმინეთის, უნგრეთისა და თვით იუგოსლავიის ცნობილი ოსტატები, სახელდობრ ვინ, ჯერ არ იციან. გამარჯვებულისთვის იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციას ახალი თასი გაუკეთებია.



# ფინალში!

## ახალი ამბები

# ფიშერმა მეტოქენი ჩამოიტოვა

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 4,5 ქულა და 1 გადატოვებული პარტია, ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ო. პანო (არგენტინა), ტ. უიტუმენი (მონღოლეთი), ე. გელერი (სსრ კავშირი) — 4-4, ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) და ე. მეკინგი (ბრაზილია) — 3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია, ბ. ლარსენი (დანია), ვ. უღმანი (გდრ) — 2,5-2,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია.

შეჯიბრების მეხუთე დღეს გაიმართა ბოლო, XXIII ტურის შეხვედრები. ამ დღეს არ შედგა ფიშერი — ვ. ჰორტისა (ჩეხოსლოვაკია) და ს. რეშევსკი (აშშ) — ე. ხიმენესის (კუბა) პარტიები.

უიტუმენის წაგება უკვე ტურის სენსაციად იქცა. პანომ კარგად გამოიყენა მონღოლი მოჭადრაკის შეცდომები და მნიშვნელოვანი ქულა შეიძინა.

წარმატებით იბრძოლა პოლუგაევსკიმ: მან ლ. პორტიშს (უნგრეთი) მოუგო. ამ გამარჯვებამ საბჭოთა დიდოსტატი ლიდერებში მოაქცია. ასეთივე სამსახური გაუწია გლიგორიჩს არგენტინელ ა. რუბინეტისთან შეხვედრაში შეძენილმა ქულამ.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ლარსენი — გელერი, ვ. სმისლოვი — მ. ტაიმანოვი (ორივე — სსრ კავშირი), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) — ე. მეკინგი (ბრაზილია) და ტ. სათლზი (კანადა) — რ. ჰიუბნერი (გფრ). გადაიდო ს. ნარანია (ფილიპინები) — დ. მინიჩისა (იუგოსლავია) და უ. ადისონ (აშშ) — უღმანის პარტიები.

კვირას შედგა ტურნირის მორიგი შეხვედრები. მსაჯთა კოლეგიამ VI ტური ჩაატარა.

კვლავ იგაიკაცა ფიშერმა: მან სძლია თავის ძველ მეტოქეს რეშევსკის და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ლიდერთა ჯგუფიდან იმარჯვა გლიგორიჩმაც: მან ჰორტს მოუგო დაატყვევა. ამბობენ, ამ წაგების მერე ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის პრეტენდენტობის შანსი თითქმის ამოიწურა: ჰორტს მხოლოდ 1,5 ქულა და 1 გადატოვებული პარტია აქვს. ეს რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა.

მეკინგმა მოუგო სმისლოვს.

მცირეოდენი გართულებების შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ: პოლუგაევსკი — უიტუმენი, გელერი — ხიმენესი, ტაიმანოვი — ნარანია, პანო — ფილიპი და ივკოვი — მინიჩი.

გადაიდო მატულოვიჩ — სათლზის, ჰიუბნერ — ადისონისა და ლარსენ — უღმანის პარტიები. ლარსენს მცირე უპირატესობა აქვს.

# წელიწადის ოთხივე დრო...

**ტაშკენტი,** 15 ნოემბერი. ველოსპორტში სსრ კავშირის თასისთვის მებრძოლებს წელიწადის ოთხივე დრო დაესწროთ: ზაფხულის მცხუნვარება, შემოდგომის ნისლი, პირველი თოვლი... დღეს კი გაზაფხულის მზემ გაადნო თოვლი გზებზე, სადაც გადიოდა საველოსიპედო სამჭიდის ბოლო სახეობის — ჯგუფური რბოლის 132-კილომეტრიანი ტრასა.

ლენინის მოედანზე ერთდროულად 50 მრბოლელი მიიჭრა. ფინიშამდე რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, როცა მძლავრი ბიძგით დაწინაურდა ომსკელი ი. ოსინცევი. მან გაიმარჯვა კიდეც (3:15.28,4) და რსფსრ-ს გუნდს 26 ქულა შესძინა. მას წამის მეათედით ჩამორჩნენ პირად ტურნირში მოასპარეზე ი. ლავრუშკინი (რსფსრ) და ვ. ბელოუსოვი, რომელმაც მოლდავეთის გუნდს 23 ქულა შემატა.

დანარჩენი 22 ადგილი, რომლებიც ჩასათვლელ ქულებს იძლეოდა, ფოტოფინიშის დახმარებით გაირკვა. აქ იყო რსფსრ-ს კიდევ ერთი წარმომადგენელი ა. გუსიატნიკოვიც. მას, ისევე როგორც მთელ ჯგუფს, შემდეგი დრო აქვს: 3:15.29,0. გუსიატნიკოვმა 14 ქულა დააგროვა, რითაც რუსეთის ფედერაციის გუნდის სალიდერო პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა: მისი უახლოესი მდევარი — მოლდავეთის ნაკრები საგრძნობლად ჩამოიტოვა.

ამრიგად, რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტებმა სამი რბოლის ჯამში 193 ქულა მოაგროვეს და საბჭოთა კავშირის თასიც დაისაკუთრეს. იგი ჩაიბარა გუნდის კაპიტანმა, საბჭოთა ველოსპორტის ვეტერანმა გ. საიდხუჟინმა.

ქალთა შორის საბჭოთა კავშირის თასი ლატვიის ნაკრებმა მოიგო.



თბილისის სპორტის სასახლეში წარმატებით მიმდინარეობს მოსკოვის ანსამბლის — „ბალეტი ყინულზე" — გასტროლები.

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი ფიგურულ ციგურაობაში ტ. ნემცოვა სარბიელზე გამოსვლისას.

ა. ვაჩიანის ფოტო.

# „ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციაში შემოვიდა წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდების წერილი. ავტორები სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თავისუფალი ჭიდაობის სექციამ (გუნდი რაიონის ჩემპიონი გახდა) საქმიანობა შეწყვიტა, ვინაიდან მწვრთნელს (რ. გახოკიძეს) ხელფასს არ აძლევდნენ.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გაეგზავნა წყალტუბოს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარე შ. კინწურაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. გახოკიძეს სრულ ხელფასს ვერ აძლევდნენ, ვინაიდან მან მწვრთნელად მუშაობა მარტში დაიწყო, ამ დროისთვის კი კოლმეურნეობის საწარმო-საფინანსო გეგმა დამტკიცებული იყო და ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელის ხელფასი არ გაუთვალისწინებიათ.

ამჟამად სექცია უზრუნველყოფილია ბინით, ინვენტარით. კოლმეურნეობის გამგეობა ახალი სამეურნეო წლიდან გაითვალისწინებს ჭიდაობის მწვრთნელის საშტატო ერთეულს სრული განაკვეთით.

**ლუცკი,** 15 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშების მონაწილე ხელბურთელებმა დაამთავრეს შეხვედრები ჯგუფებში. აი, შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა:

**I ჯგუფი.** რსფსრ — ლიტვა 18:12, მოლდავეთი — ყირგიზეთი 30:14, ყირგიზეთი—რსფსრ 16:37, მოლდავეთი — ლიტვა 24:22.

**II ჯგუფი.** ლატვია — ესტონეთი 20:27, აზერბაიჯანი — ყაზახეთი 12:20, ესტონეთი — აზერბაიჯანი 16:16, უკრაინა — ლატვია 34:25, ყაზახეთი—ესტონეთი 21:27, აზერბაიჯანი — უკრაინა 15:31.

**III ჯგუფი.** საქართველოს ხელბურთელებს ფინალში გასვლა განაღდებული ჰქონდათ. ამასთან, ჯგუფში ჩატარებული შეხვედრის შედეგი ფინალში არ გადადითდა. ამიტომ სომხეთის კოლექტივთან შეხვედრაში ჩვენებმა მეორე შემადგენლობით ითამაშეს და მატჩი ფრედ (20:20) დაამთავრეს. თურქმენეთის გუნდმა მოუგო ბელორუსიის კოლექტივს — 30:24.

ამრიგად, ფინალში იასპარეზებენ მოლდავეთის, რსფსრ-ს, უკრაინის, ესტონეთის, საქართველოსა და სომხეთის ხელბურთელები.

შეჯიბრების ფინალური მატჩები აქ 17 ნოემბერს დაიწყება.

ჯ. ენუქიძე.

# „ორნი ტრეკზე"



ასე ჰქვია დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ახალ ნაწარმოებს (რეჟისორი ვ. კონოვალოვი, ოპერატორები ა. ვიალიკიდა, ვ. მაკაროვი), ჩვენ კი მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ფსიქოლოგიური ეტიუდი. ფილმში მთელი მოქმედება ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატის ფონზეა აგებული. ყურადღების ცენტრშია ორი ცნობილი სპრინტერის — ო. ფხაკაძისა და მისი მუდმივი მეტოქის, ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვის ბრძოლა.

მაგრამ ავტორები სპორტული პერიპეტიების პარალელურად ველოსიპედისტთა ცხოვრების სხვა დეტალებსაც ეხებიან. კერძოდ, ფილმში კარგადაა ახსნილი, თუ რა იმალება მეტოქეთა სპორტული ბრძოლის მიღმა. მაყურებელი ფხაკაძესა და ცელოვალნიკოვს ხშირად ხედავს წვრთნის დროს, პირად ცხოვრებაში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სიტუაციაში.

შეუპოვარი შრომა, ნებისყოფა და ვაჟკაცობა — აი, რა გზით ხსნის ფილმი მოქმედ პირთა სპორტულ წარმატებებს. ესაა ნაწარმოების მთავარი იდეაც. ჩვენ ეკრანიდან ვისმენთ ცელოვალნიკოვის საინტერესო ნაამბობს თავის მეტოქეზე: „ბრძოლის დროს იმდენ ენერგიას, ძალასა და ნერვებს ხარჯავ, რომ შესვენებებზე ამხანაგებთან საუბრის თავიც არა გაქვს და ვერც მეტოქის გამოსვლას ადევნებ თვალს... მაგრამ ზოგჯერ მაინც გახედავ ფხაკაძეს და გაოცდები. იგი მართლაც სპრინტის მეფეა — ექვსი წელია ვერც ერთი ჩვენი ველოსიპედისტი ვერ უძლავდება მას".

მაყურებელი მთელი ფილმის მანძილზე დაძაბულია. ავტორები არაფერს გვეუბნებიან ველოსიპედისტთა ბიოგრაფიაზე, დიდების გზებზე. ეს კინომოთხრობა სპორტსმენის მძიმე შრომას ეძღვნება. მძაფრი მომენტები, წვრთნა და ჯოჯოხეთური შრომა, ურომლისოდაც წარმატება წარმოუდგენელია — ყოველივე ეს ოსტატურადაა წარმოდგენილი კინოფილმში.

**ზ. რატომსკაია.**

მოსკოვი.

• • •

სურათებზე: კადრები ფილმიდან.





## ს. ა. კლოცი



საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა რიგებს გამოაკლდა ძველი თაობის წარმომადგენელი, წარსულში ცნობილი მოთამაშე სერგი ალექსანდრეს ძე კლოცი.

ს. ა. კლოცი დაიბადა თბილისში 1909 წელს. მან ჯერ კიდევ მოსწავლეობის წლებიდან შეიყვარა ფეხბურთი, ბევრ დროს უთმობდა მას. 1928 წელს კლოცი თამაშობდა „არსრაიონის" II გუნდში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ — I გუნდში.

1926 წელს ს. კლოცი სასწავლებლად გაემგზავრა ბაქოში, სადაც ფეხბურთის თამაშს განაგრძობდა ადგილობრივ გუნდებში. 2 წლის შემდეგ იგი დაბრუნდა თბილისში და აქ ჩაირიცხა იმ დროს ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივში — „მეტალისტში".

1936 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ს. კლოცი მუშაობდა ცეკავშირის სისტემაში, იყო სამშენებლო ტრესტ „საქკოოპმშენის" მმართველის მოადგილე, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხშირად იყო სასარგებლო წამოწყებათა თაოსანი.

თავისი სპორტული მოღვაწეობის პერიოდში კლოცმა ბევრი რამ გააკეთა საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის, გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, დიდი შრომისმოყვარეობით, კორექტული თამაშით, სარგებლობდა ავტორიტეტით როგორც ამხანაგებს, ისე მაყურებელთა შორის.

ვეტერანი ფეხბურთელი, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი ადამიანი იყო.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.**

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABđARUGAS •

### „კალიარის" პოპულარობა

სამიოდე წლის წინ კალიარის სტადიონს ძალიან ცოტა მაყურებელი ჰყავდა. აქ არ იყიდებოდა აბონემენტები, როგორც ეს წესადაა შემოღებული იტალიის სხვა ქალაქებში.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც „კალიარი" უმნიშვნელო გუნდიდან I ლიგის მოწინავე კლუბად იქცა. მწვრთნელმა სკოპინომ თავი მოუყარა შესანიშნავ ოსტატებს რივას, ალბერტოზის, დომენგინის, გორის, ნიკოლაის და ახლა ადგილობრივ სტადიონზე მოხვედრა უკვე დიდი პრობლემაა. „კალიარის" თამაშის სანახავად სისტემატურად ჩამოდიან სარდინიის სხვა ქალაქებიდან, აბონემენტების მფლობელთა რიცხვმა კი 17 ათასს მიაღწია.

### „ჯადოქარი" მალატინსკი

ჩეხოსლოვაკიელ მწვრთნელთა შორის დიდი სახელი აქვს მალატინსკის. სანამ იგი ტრნავის „სპარტაკის" სათავეში იყო, კლუბი არავის ანებებდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონობას. შემდეგ მალატინსკი ავსტრიაში გადავიდა და სრულიად უმნიშვნელო კლუბ „ადმირას" ჩაუდგა სათავეში, რომელიც ლიგაში ძლივს ლაფავდა სულს. ახლა ეს კლუბი ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერია!

ამას წინათ მალატინსკიმ განაცხადა, რომ „ადმირასთან" ხელშეკრულების გათავების შემდეგ (1971 წლის ზაფხულში) ახალ კონტრაქტს აღარ მოაწერს ხელს და ისევ ტრნავის „სპარტაკის" მწვრთნელი გახდება.

### პეიროს დაბრუნება

თავისი 10 საუკეთესო სეზონი ესპანეთის ნაკრების წამყვანმა თავდამსხმელმა ი. პეირომ იტალიის კლუბებში გაატარა. იგი კარგა ხანს მილანის „ინტერში" თამაშობდა, მაგრამ მწვრთნელ ელ. ერერასთან უთანხმოების გამო „რომაში" გადავიდა. გავიდა ხანი და თვით ერერაც „რომაში" აღმოჩნდა. აქ საქმე უთანხმოებამდე უკვე აღარ მისულა, ვინაიდან „რომას" რესურსები სხვაა, „ინტერისა" კი სულ სხვა.

ახლა პეირო, უკვე თავისი ნებით, წავიდა „რომადან". ამიერიდან იგი მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელი იქნება.

### უცნაური დისკვალიფიკაცია

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებში თამაში აუკრძალა გამოჩენილ ცენტრალურ მცველს, მსოფლიოს ორი უკანასკნელი ჩემპიონატის მონაწილე ჯ. ჩარლტონს.

34 წლის ჯ. ჩარლტონი „ლიდს იუნაიტედის" წამყვანი მოთამაშეა და, ასაკის მიუხედავად, მისი ოსტატობის დონე სრულიადაც არ დაქვეითებულა.

მაშ რაშია საქმე?

საქმე ისაა, რომ ფედერაცია ცალკეულ, თუნდაც გამოჩენილ მოთამაშეებს, ნებას არ აძლევს თავს დაესხან ინგლისის ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობას, გააკრიტიკონ ავტორიტეტები და ა. შ. სწორედ ამგვარი „დანაშაული" ჩაიდინა ჯეკ ჩარლტონმა, რომელიც ამას წინათ ტელევიზიით გამოვიდა და აღნიშნა ინგლისის საფეხბურთო მინდვრებზე უხეშობის ზრდა.

„მე უბის წიგნაკში ორი ფეხბურთელის გვარი ჩავინიშნე. ისინი თამაშობენ უხეშად და გამომწვევად, — კაცზე და არა ბურთზე. გამოდის, რომ მთელი ჩემი კარიერის მანძილზე ამ ფეხბურთელებისგან უნდა ვიტანჯო, მათ კი, პასუხს არავინ სთხოვს".

დისკვალიფიცირებული ჯ. ჩარლტონის ნაცვლად, ინგლისელი მიმომხილველების აზრით, ნაკრების ცენტრალურ მცველად მიიწვევენ რ. მაკფარლანდს „დერბი კაუნტიდან". მას 4 მატჩი აქვს ჩატარებული ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში.

### კლუბი „იაშინი" — საუკეთესო

**გუაიაკილი,** 15 ნოემბერი. ახალგაზრდული საფეხბურთო კლუბი, რომელიც სახელგანთქმული საბჭოთა მეკარის ლ. იაშინის სახელს ატარებს, ეკვადორის პროვინცია ტუნგურაუას ჩემპიონი გახდა. კლუბმა „იაშინმა" 84 გუნდის ბრძოლაში იმარჯვა და სპორტული ჟურნალის „ესტადიოს" ხოტბაც დაიმსახურა.

### მოსკოვის „დინამო" — 3:0

**ლიუცერნი,** 15 ნოემბერი. სსრ კავშირის თასის მფლობელმა — მოსკოვის „დინამომ" თავისი ევროპული ტურნეს მეორე მატჩში აქ ანგარიშით 3:0 (1:0) დაამარცხა შვეიცარიის „ლიუცერნი".

### მეოთხედფინალში — „ატლეტიკო"

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის მონაწილეთა სია. არ იყო ცნობილი მხოლოდ ესპანეთის „ატლეტიკოსა" (მადრიდი) და იტალიის „კალიარის" საკითხი. ამ გუნდების პირველი მატჩი მოიგო „კალიარიმ" — 2:1.

განმეორებითი შეხვედრა „ატლეტიკოსა" და „კალიარის" შორის მოიგო „ატლეტიკომ" — 3:0. სამივე გოლის ავტორი იყო ესპანელთა ფორვარდი ლუისი.

ამრიგად, მეოთხედფინალში „ატლეტიკო" გავიდა.

### მოკლედ

● **სტოკჰოლმი.** შვეციის ნაკრების მარცხენა გარემარბი პერსონი, რომელიც წლების განმავლობაში შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში" თამაშობდა, სამშობლოში დაბრუნდა და „ოერგრიტეში" ჩაირიცხა.

● **კალიარი.** რივა კიდევ სამ სეზონს დარჩება „კალიარის" შემადგენლობაში, რისთვისაც კლუბმა მას 250 მილიონი ლირა გადაუხადა.

● **ჰამბურგი.** 400 ათასი მარკა დეფიციტია ცნობილ კლუბ „ჰამბურგერ შპორტფერაინის" ბიუჯეტში. ამ კლუბში გამოდის გფრ-ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი უ. ზეელერი.

● **ბერნი.** უეფა-ს აღმასკომის დადგენილებით, 3-3 საერთაშორისო მატჩით არიან დისკვალიფიცირებული ლევანტი (სტამბოლის „ფენერბაჰჩე"), მიხაილოვიჩი (ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა") და დემპსეი (ლონდონის „ჩელსი"), რომლებსაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მატჩებში მსაჯებმა მინდორი დაატოვებინეს.

● **მეხიკო.** გადადგა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კანედო. მის ნაცვლად დანიშნულია ნორიგა.

## კრივი თუ... ჭიდაობა?!

კაუნასი, 15 ნოემბერი. მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატში ყოველ წონით კატეგორიაში გამოვლინდა 16 სპორტსმენი, რომელნიც უმაღლესი ჯილდოსთვის გააგრძელებენ დავას. მათს რიცხვში შედის ყველა ფავორიტი, თუმცა მათ გამარჯვება დიდი ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს.

შესაძლოა, ნაადრევი იყოს რაიმე დასკვნების გამოტანა, მაგრამ ჩემპიონატის პირველმა 55 შეხვედრამ მოკრივეთა სტილის ერთგვარი ერთფეროვნება ცხადყო. ბევრი მათგანი სათანადო ყურადღებას არ აქცევს დაცვას, იშვიათად მიმართავს კონტრშეტევებს. სამაგიეროდ, ხშირია უმიზნო დარტყმების გაცვლა, რაც დიდ ენერგიას მოითხოვს. ეს ხომ არ იყო მიზეზი, რომ ზოგიერთი ორთაბრძოლა, განსაკუთრებით, დასასრულს, ჭიდაობას უფრო გვაგონებდა?

მაგრამ ყოველივე ეს თვალსაჩინოა, თუ მოასპარეზეთა შედეგებს ძალიან მკაცრად მივუდგებით. პირველ ორ დღეს მაყურებლებით სავსე დარბაზი რამდენიმე მიმზიდველი ორთაბრძოლის მოწმეც გახდა. მაგალითად, ორენბურგელმა პედაგოგმა, 22 წლის დ. კალმიკოვმა (მსუბუქი წონა) ლამაზი შემხვედრი დარტყმებით დამაჯერებლად მოუგო უთავბოლოდ მოიერიშე დ. ვოსკანიანს (ერევანი). ამით მან ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა, რა აუცილებელია რინგზე თვითდაჯერება და განსჯის უნარი. მოსკოვისა და ლენინგრადის ჩემპიონებმა ბ. მინიკაევმა და ჯ. ბორისკინმა, რომლებიც ამავე წონაში გამოდიან, პირიქით, შეხვედრა ისე აზარტულად წარმართეს, რომ მათი ხელთათმანები თითქოს ნაპერწკლებს ყრიდნენ. მაგრამ სპორტსმენები მსუბუქად, ოსტატურად იბრძოდნენ და ეს შეხვედრაც მწვავე საჭადრაკო პარტიას მოგვაგონებდა. და მაინც, ენდშპილში უფრო ზუსტი იყო მოსკოველი, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია მინსკელი კ. პრიმაკოვის (პირველი ქვესაშუალო) მოგება გამოცდილ ვ. გრანიჩნიკოვთან (მოსკოვი) და მძიმეწონოსანი კ. საროიანის (ერევანი) აშკარა უპირატესობით გამარჯვება შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ი. სომოვთან (ნოვოკუზნეცკი).

ხვალ სამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები მეოთხედფინალის საგზურებს გაითამაშებენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტული აფიშა

კრივი. ცირკი. 17 ნოემბერი. თბილისისა და დონის როსტოვის გუნდების ამხანაგური შეხვედრა. დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 10605